მატჩი მოსკოვში

გუშინ მოსკოვში, შედგა მორიგი კალენდარული მატჩი ფეხბურთში საბჭოთა კავშირის 1958 წლის პირველობაზე. ერთმანეთს შეხვდნენ ცსკ მო და თბილისის "დინამო".

პირველი ტაიმი თბილისელთა შტურმით დაიწყო, მაგრამ მოსკოველებმა მალე გაათანაბრეს თამაში და 26–ე წუთზე აპუხტინმა გახსნა ანგარიში. ტაიმის ბოლომდე არმიელებმა კიდევ ორი ბურთი გაიტანეს და ტაიმიც დამთავრდა.

თამაშის მეორე ნახევარში თბილისელებმა თითქოს გააუმჯობესეს თამაში, მაგრამ მათი დარტყმები მიზანს ვერ აღწევდა. მოსკოველთა მიერ დამატებით გატანილ ორ გოლს დინამოელებმა ერთით (11–მეტრიანი საჯარიმოდან) უპასუხეს.

მატჩი დამთავრდა ცსკ–ს გამარჯვებით ანგარიშით 5:1.

ამ გუნდების სათადარიგო შემადგენლობათა შეხვედრაში გაიმარჯვეს მოსკოველებმა ანგარიშით 1:0.

"ლელო", 5 აგვისტო, 1958 წ.